

ენათმეცნიერება Linguistic

ტოლედოს მთარგმნელობითი სკოლა და მისი ისტორიული და კულტურული მნიშვნელობა

მარინე კობეშავიძე, ნინო ჭრიკიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, საქართველო

marine.kobeshavidze@tsu.ge

nino.chrikishvili@tsu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2025.34.03>

SJIF 2025: 8.584

ტოლედოს აღება ესპანეთის ისტორიაში ერთ-ერთი უმთავრესი მოვლენაა. ტოლედოს აღებით ესპანელებმა არა მხოლოდ ძველი დედაქალაქი გაათავისუფლეს მუსულმანებისგან, არამედ ქრისტიანთა ხელში აღმოჩნდა ტოლედოს ბიბლიოთეკაში დაცული უმნიშვნელოვანესი ანტიკური და აღმოსავლური ტექსტების არაბული და ებრაული თარგმანების ნაწილიც.

მეფე ალფონსო VI-ის ტოლერანტული რელიგიური პოლიტიკის წყალობით, რაც გულისხმობს ტოლედოში სამი რელიგიის აღმსარებლებისათვის მშვიდობიანი თანაცხოვრების პირობების შექმნას, შესაძლებელი გახდა, რომ ქრისტიანებს, მუსულმანებსა და ებრაელებს ერთობლივი ძალებით აღნიშნული უმნიშვნელოვანესი ნაშრომები ეთარგმნა ლათინურად და გაეტანათ ევროპაში. ტოლედო აღმოჩნდა ის ქალაქი, სადაც თარგმნეს და საიდანაც მეზობელ ქრისტიანულ სამეფოებში გაიტანეს დიდი ხნის წინ მივიწყებული ბერძნულ-ლათინური მემკვიდრეობა და იმ პერიოდის ევროპისთვის ახალი, აღმოსავლური (სპარსული, არაბული, ებრაული, ინდური) ცოდნა. სწორედ ტოლედოს სკოლამ გაახსენა ევროპას არისტოტელე სხვა ბერძენ მოაზროვნეებთან ერთად და გააცნო მას აღმოსავლური ცივილიზაცია. ტოლედოს მთარგმნელობითმა სკოლამ მისცა ბიძგი შუა საუკუნეების დოგმატური შეხედულებებისგან ევროპის გამოფხიზლებას და მოამზადა ის ევროპული რენესანსისათვის.

რაც შეეხება ტოლედოს მთარგმნელობითი სკოლის მნიშვნელობას ადგილობრივ დონეზე, მოგვიანებით დაწყებულმა ტექსტების მხოლოდ ესპანურ ენაზე თარგმნამ, რაც ალფონსო X ბრძენის ინიციატივა იყო, ერთი მხრივ, საფუძველი ჩაუყარა უმნიშვნელოვანესი ნაშრომების

შექმნას ესპანურ ენაზე, ხოლო მეორე მხრივ, გამართა და დახვეწა „ახალფეხადგმული“ კასტილიური ენა და აქცია ის სამწერლობო ენად, ლიტერატურისა და მეცნიერების ენად.

საკვანძო სიტყვები: კორდობის სახალიფო, რეკონკისტა, ტოლედოს მთარგმნელობითი სკოლა, ალფონსო X ბრძენი.

VIII საუკუნის დასაწყისში პირენეის ნახევარკუნძულზე გამოჩნდნენ არაბები. არაბებმა რამდენიმე წელიწადში დაიპყრეს ნახევარკუნძულის უდიდესი ნაწილი და შექმნეს **კორდობის საამირო**. არაბთა დაპყრობას გადაურჩა მხოლოდ ნახევარკუნძულის ჩრდილოეთი. ჩრდილოეთის მთიან ნაწილში (კანტაბრიის მთები), სადაც ვესტგუთი დიდებულები და მათი მომხრეები გაიხიზნნენ, იქმნება **ასტურიის სამეფო**, საიდანაც იწყება ესპანელების **რეკონკისტა** (რეკონკისტა) ნახევარკუნძულის უკან დასაბრუნებლად.

ასტურიის სამეფო ნელი ნაბიჯებით, მაგრამ მაინც ახერხებდა მეზობელი ტერიტორიების შემოერთებას და 910 წელს ასტურიის გაფართოებული სამეფო ცხადდება **ლეონის სამეფოდ**. ჩრდილოეთით მოძლიერებული ლეონის სამეფოს წინააღმდეგ საბრძოლველად და ამ ბრძოლაში წარმატების მისაღწევად, კორდობის ამირა აბდ არ-რაჰმან III-მ მიზანშეწონილად ჩათვალა, რომ ისლამური ესპანეთის და მისი მეთაურის სტატუსი შეეცვალა და ამით ხაზი გაესვა მისი სიძლიერისა და ავტორიტეტისათვის. 929 წელს აბდ არ-რაჰმან III-მ კორდობის საამირო **კორდობის სახალიფოდ** გამოაცხადა, ხოლო თავის თავი - **კორდობის ხალიფად**. აბდ არ-რაჰმან III-მ ქრისტიანების სამხრეთით წინსვლა შეაჩერა და აიძულა ისინი, ელიარებიანთ კორდობის პირველობა.

აბდ არ-რაჰმან III-ის (912-961) და მისი შვილის ჰაქამ II-ის (961-976) მმართველობის წლებში ისლამურმა ესპანეთმა (უკვე კორდობის სახალიფოს სახელწოდებით) ძლიერების ზენიტს და ეკონომიკურ-კულტურული აყვავების მწვერვალს მიაღწია. ამ პერიოდის კორდობაში (სახალიფოს დედაქალაქი) თითქმის ნახევარი მილიონი ადამიანი ცხოვრობდა. აბდ არ-რაჰმან III-ისა და ჰაქამ II-ის პერიოდის კორდობის სახალიფო ბევრად განვითარებული იყო როგორც ეკონომიკური, ისე საგანმანათლებლო და სამეცნიერო თვალსაზრისით, ვიდრე ჩრდილოეთის ქრისტიანული სამეფოები. ჩნდება კითხვა, რამ განაპირობა ასეთი მაღალი კულტურულ-საგანმანათლებლო-სამეცნიერო დონე კორდობის სახალიფოში? ისლამური ესპანეთი კულტურულად მიბმული იყო აზასიანთა ბაღდადის სახალიფოსთან, სადაც იმ ხანად სამეცნიერო საქმიანობა ჰყვავდა, ეს კი თავის მხრივ, განათლების მაღალ დონესთან იყო დაკავშირებული. ყველაფერი, რაც ამ მიმართულებით კეთდებოდა ბაღდადის სახალიფოში, კორდობელი ხალიფების დიდ ყურადღებას იწვევდა და ხშირად იგივეს აკეთებდნენ ისინი კორდობის სახალიფოშიც.

X-XI საუკუნეებში, როცა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში განათლება მხოლოდ საეკლესიო წრეების პრივილეგიად რჩებოდა, ისლამურ ესპანეთში წერა-კითხვა მოსახლეობის უმრავლესობამ იცოდა. გადმოცემის თანახმად, ხალიფა ჰაქამ II-ს (961-976) **კორდობაში 27 სკოლა** გაუხსნია. კორდობის მეჩეთში ფუნქციონირებდა უნივერსიტეტიც, სადაც განათლებას იღებდნენ ახალგაზრდები სხვადასხვა ქვეყნიდან. ჰაქამ II-მ კორდობის „**მეჩეთ-უნივერსიტეტი**“ კეთილმოაწყო (ამ დროს ჯერ არ არის უნივერსიტეტები ევროპაში) და იქ სამუშაოდ ცნობილი მეცნიერები მიიწვია. ხალიფა ყველაფერს აკეთებდა მეცნიერების განვითარებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მათემატიკას, მედიცინას, ასტრონომიასა და ფილოსოფიას. ისლამურ ესპანეთში კითხულობდნენ და იკვლევდნენ არისტოტელეს, პლატონს და ანტიკური ხანის სხვა მოაზროვნეების ტექსტებს (ნათარგმნს არაბულ ენაზე) მაშინ, როცა ევროპას დიდი ხნის მივიწყებული ჰყავდა ანტიკური ხანის ფილოსოფოსები. ისტორიამ ჰაქამ II-ის კორდობა შეაფასა როგორც „*el mayor centro cultural y científico de la europa occidental*“.

განსაკუთრებით უნდა აღნიშნოს **კორდობის ბიბლიოთეკა**, სადაც თავს იყდიდა მთელი დასავლური (ანტიკური სამყარო) და აღმოსავლური (ინდური, სპარსული, არაბული) ცოდნა. ჰაქამ II-ის მმართველობის დროს კორდობის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა რიცხვი 400 ათასამდე ავიდა. ხელნაწერებს შორის იყო: ა) ევროპელებისგან მივიწყებული ძველი ბერძნული და ძველი ლათინური ტექსტების (არისტოტელე, პლატონი, ჰიპოკრატე, გალენოსი, ევკლიდე, პტოლემე...) არაბული და ებრაული თარგმანები; ბ) დამასკოსა და ბაღდადში არაბულ ენაზე შექმნილი უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო ნაშრომები ფილოსოფიაზე, მედიცინაზე, მათემატიკასა და ასტრონომიაზე (ალ-ქინდი, ალ-ფარაბი...), ასევე სხვადასხვა აღმოსავლური (სპარსული, ინდური) ტექსტების არაბული თარგმანები (მაგალითად, „ქილილა და დამანას“ არაბული თარგმანი); გ) კორდობის სახალიფოს მუსულმანებისა და ებრაელების მიერ საკუთარ ენებზე შექმნილი სამეცნიერო ნაშრომები ფილოსოფიაზე, მედიცინაზე, ისტორიაზე, მათემატიკაზე, გეოგრაფიასა თუ ასტრონომიაზე.

კორდობა იყო უმნიშვნელოვანესი კულტურული ცენტრი (უნივერსიტეტით, ბიბლიოთეკით, სკოლებით, უამრავი სწავლულით და მეცნიერით) ისლამურ ესპანეთში (ამავდროულად იყო ისლამური ესპანეთის დედაქალაქი), მაგრამ არა ერთადერთი. მნიშვნელოვანი კულტურული და სამეცნიერო საქმიანობა მიმდინარეობდა კორდობის სახალიფოს სხვა დიდ ქალაქებშიც. ერთ-ერთი ასეთი ქალაქი იყო ტოლედო. ანტიკური და აღმოსავლური ტექსტების არაბულ-ებრაული თარგმანების ნაწილი ტოლედოს ბიბლიოთეკაშიც იყო ხელმისაწვდომი. ტოლედოს ბიბლიოთეკაში თავმოყრილი ცოდნა ქრისტიანთა ხელში აღმოჩნდა მას შემდეგ, რაც ტოლედო ქრისტიანებმა აიღეს (1085). მოგვიანებით გაათავისუფლეს კორდობაც (1236), მაგრამ კორდობაში ძველი ცოდნა აღარ დახვდათ, რადგან აღმანსურმა, რომელიც მართავდა კორდობის სახალიფოს ჰაქამ II-ის გარდაცვალების შემდეგ, კორდობის ბიბლიოთეკაში დაცული ნაშრომების დიდი ნაწილი ერეტიკულ ლიტერატურად გამოაცხადა და გაანადგურა.

1008-1031 წლებში პირენეის ნახევარკუნძულზე კორდობის სახალიფოს დაშლის პროცესი მიმდინარეობს. 1031 წელს უმაიანთა სახალიფო გაუქმდა და იმ ტერიტორიაზე აღმოცენდა რამდენიმე დამოუკიდებელი ისლამური სამეფო, იგივე **ტაიფები**. მას შემდეგ, რაც კორდობის სახალიფო დაიშალა ტაიფებად, ისარგებლეს ჩრდილოეთის ქრისტიანულმა სამეფოებმა და დაიწყეს მიზანმიმართული და კარგად ორგანიზებული ბრძოლა მუსულმანების წინააღმდეგ. **1085 წელს ალფონსო VI-მ აიღო ტოლედო** და საზღვარი მდ. ტახომდე (იგივე ტეჟუ) ჩამოწია. ტოლედოს აღება უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო ქრისტიანებისათვის.

ალფონსო VI-ს ტოლედოდან მუსულმანები არ გაუძევებია. მეფემ მუსულმანებს ტოლედოში დარჩენის უფლება მისცა. შესაბამისად, ტოლედოში დარჩნენ მუსულმანი მეცნიერებიც, რომელთაც ადგილობრივ ებრაელ სწავლულებთან ერთად განაგრძეს სამეცნიერო საქმიანობა. ტოლერანტული რელიგიური პოლიტიკის წყალობით ტოლედოში შეიქმნა სამი რელიგიის აღმსარებლებისათვის მშვიდობიანი თანაცხოვრების პირობები. მშვიდობიანი გარემო კი სამეცნიერო საქმიანობის გაგრძელებისათვის იყო უმნიშვნელოვანესი. ამ პერიოდის ტოლედოს ისტორიკოსები მოიხსენიებენ როგორც „**CIUDAD DE TRES CULTURAS**“.

ტოლედოში მიმდინარე აქტიური სამეცნიერო საქმიანობა უყურადღებოდ არ დარჩენია **ტოლედოს არქიეპისკოპოს რაიმუნდოს**.¹ მან ჩათვალა, რომ ნაშრომები, რაც ტოლედოში იქმნებოდა მუსულმანი და ებრაელი სწავლულების მიერ და ძველი კლასიკური და აღმოსავლური ტექსტების თარგმანები, რაც ტოლედოში იყო ხელმისაწვდომი, საინტერესო იქნებოდა როგორც საფრანგეთის, ისე ევროპის დანარჩენი ქრისტიანული სამეფოებისთვისაც, სადაც ისლამური ცივილიზაციის მიღწევებზე ბევრი არაფერი იცოდნენ, ხოლო კლასიკური (ბერძნულ-ლათინური) ტექსტები დიდი ხნის დავიწყებული ჰქონდა.

იმისათვის, რომ არაბული და ებრაული ტექსტები ევროპაში გასაგები ყოფილიყო, ტექსტები უნდა ეთარგმნათ ლათინურ ენაზე, მაგრამ არც მუსულმანმა და არც ებრაელმა სწავლულებმა ლათინური არ იცოდნენ. თუმცა, იცოდნენ კასტილიური. გადაწყდა, რომ მასალა ჯერ უნდა გადათარგმნილიყო კასტილიურად. კასტილიურად თარგმნა ხდებოდა მუსულმანი და ებრაელი სწავლულების მიერ ზეპირად და სიტყვასიტყვით (*oralmente y palabra por palabra*).² ზეპირი თარგმანის დროს იქვე მყოფი ლათინურის მცოდნე პირი ამ ყველაფერს ასევე სიტყვასიტყვით თარგმნიდა წერილობით ლათინურად, რომელიც იყო „*la lengua final*“. ისტორიკოსები თარგმნის ამ მეთოდს უწოდებენ „*el de dos intérpretes*“ ან „*a cuatro manos*“. საქმე, რომელიც ტოლედოს

¹ Raimundo de Sauvetat - ფრანგული წარმოშობის არქიეპისკოპოსი, ტოლედოს არქიეპისკოპოსია 1125-1152 წლებში, ჰქონდა ევროპის არაერთი სამეფო კართან ურთიერთობის გამოცდილება.

² აღნიშნული ფაქტი მიუთითებს, რომ მართალია ზეპირად, მაგრამ კასტილიური ენა უკვე ცდილობს რთული ნააზრების გადმოცემას. თუმცა, ჯერ კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი, სანამ სამწერლობო ენად ჩამოყალიბდება. ამ პროცესს კი თავის თავზე იღებს ალფონსო X ბრძენი.

არქივისკოპოსმა რაიმუნდომ წამოიწყო, მომდევნო ათწლეულებშიც აქტიურად მიმდინარეობდა (მაღალი რანგის სხვა საეკლესიო პირების ხელმძღვანელობით). სწორედ ასე ითარგმნა არაბულიდან და ებრაელთა ენიდან ჯერ კასტილიურად (ოლონდ ზეპირად) და შემდეგ ლათინურად (უკვე წერილობით) ერთი მხრივ, ძველი ანტიკური სამყაროს უდიდესი მოაზროვნეების (არისტოტელე, პლატონი, ჰიპოკრატე, გალენოსი, ევკლიდე, პტოლემე...), ხოლო მეორე მხრივ, აღმოსავლეთის დიდი მოაზროვნეების (მაგალითად, ავიცენა, იგივე იბნ სინა) ტექსტები, რასაც ემატებოდა ისლამურ ესპანეთში მოღვაწე მუსულმანი და ებრაელი მეცნიერების (ავეროისი, იგივე იბნ რუშდი, მაიმონიდი ...) ნაშრომებიც.

XII საუკუნის ტოლედოში ყველაზე ცნობილ მთარგმნელებს შორის იყო **ხუან ისპანო** (nombre de nacimiento: Iohannes Avendehut / judío converso, 1130-1180) და **დომინგო გუნდისალვო** (clérigo cristiano, 1110-1181). ტექსტს ჯერ ხუან ისპანო თარგმნიდა კასტილიურად (ზეპირი გზით), ხოლო შემდეგ კასტილიურიდან ლათინურად თარგმნიდა (წერილობით) გუნდისალვო.¹ სწორედ ასე თარგმნეს არაბულიდან ჯერ კასტილიურად (ზეპირად) და მერე ლათინურად (უკვე წერილობით) **არისტოტელეს** ნაშრომების არაბულად ნათარგმნი ტექსტები და **ავიცენას** ნაშრომები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გუნდისალვო არა მარტო ლათინურად თარგმნიდა, არამედ ლათინურადვე კომენტარებსაც უკეთებდა არისტოტელეს ნაშრომებს, ანუ თარგმანის გარდა, იკვლევდა კიდევ. თარგმანები, რომლებიც ამ დროს ტოლედოში გაკეთდა, საუკუნეების განმავლობაში გამოიყენებოდა სახელმძღვანელოებად უნივერსიტეტებში, რომელთა დაარსებაც სხვადასხვა ევროპულ ქალაქებში სწორედ ამ პერიოდში იწყება.

კასტილიისა და ლეონის მეფეები სამხრეთით წინსვლას აგრძელებდნენ. განსაკუთრებული მნიშვნელობის იყო XIII საუკუნის I ნახევარი, როცა ფერნანდო III el Santo-მ, კასტილიისა და ლეონის სამეფოების საბოლოოდ გაერთიანების შემდეგ (1230), ერთმანეთის მიყოლებით აიღო რამდენიმე დიდი ქალაქი, მათ შორის: კორდობა (1236), მურსია (1241) და სევილია (1248). კასტილია-ლეონის წარმატებული წინსვლა სამხრეთით ნიშნავდა იმას, რომ კასტილიელთა ხელში უფრო და უფრო მეტი ცოდნა იყრიდა თავს.

1252 წელს კასტილია-ლეონის მეფე გახდა ალფონსო X (1252-1284). ალფონსო X-ის მმართველობა პოლიტიკურ დონეზე შეფასებულია როგორც “un fracaso” (საერთაშორისო ასპარეზზე მარცხი, დაპირისპირება მეორე შვილთან...). რადიკალურად განსხვავებული და წარმატებული იყო ალფონსოს კულტურული და სამეცნიერო საქმიანობა. მისი მოღვაწეობის სწორედ ეს მხარე იწვევს უდიდეს ინტერესს და აქცევს მას ესპანეთის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ ფიგურად. მეფედ, რომელიც ქვეყნის ისტორიაში ბრძენის (el Sabio) მეტსახელით შევიდა - Alfonso X el Sabio.

¹ მთარგმნელთა ვინაობის და თარგმნის მეთოდოლოგიის შესახებ ვგებულებთ ერთ-ერთი ნაშრომის წინასიტყვაობიდან, სადაც თარგმნის მეთოდთან ერთად მოხსენიებულია ზემოაღნიშნული ორი მთარგმნელის - ხუან ისპანოს და დომინგო გუნდისალვოს - სახელებიც.

ალფონსო X ბრძენი კულტურისა და მეცნიერების დიდი მოყვარული იყო. მან გადაწყვიტა, აღარ დაეხარჯათ რესურსი კასტილიაში თავმოყრილი ცოდნის ლათინურად თარგმნაზე. გადაწყვიტა, რომ ეს ცოდნა ეთარგმნათ მხოლოდ კასტილიურ ენაზე და უკვე კასტილიურად ნათარგმნ ტექსტებზე დაყრდნობით შეეცნათ ისეთი ფუნდამენტური ნაშრომები, ასევე კასტილიურ ენაზე, რომლებიც კასტილიის განვითარებას, კასტილიაში კულტურისა და მეცნიერების განვითარებას მოხმარდებოდა.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ალფონსო X ბრძენმა სამეფო კარზე შემოიკრიბა იმ ეპოქის ყველაზე ცნობილი **სწავლულები და მეცნიერები განურჩევლად რელიგიური და ეთნიკური კუთვნილებისა** და მათთან ერთად შეუდგა მუშაობას. რაც შეეხება, ალფონსოს და მისი მეცნიერ-მთარგმნელების მუშაობის პრეციფიკას, ალფონსო X ბრძენი იყო ერთგვარი არქიტექტორი. მას ჰქონდა იდეა და მონახაზი იდეის სისრულეში მოსაყვანად, ხოლო სამეფო კარზე მოღვაწე მთარგმნელები, მეცნიერები და სწავლულები - მეფე ალფონსო X-ის იდეის განმახორციელებლები. მეფე პირველ დავალებას აძლევდა მთარგმნელებს, რომელთაც კონკრეტული საკითხის გარშემო არსებული გაბნეული მასალები (მაგალითად, ესპანეთის ისტორიის შესახებ არსებული მასალები სხვადასხვა ენობრივ წყაროებში) უნდა მოეძიებინათ და ეთარგმნათ კასტილიურ ენაზე. კასტილიურ ენაზე ნათარგმნ მასალებს მეფე აძლევდა დარგის სპეციალისტებსა და სწავლულებს, რომელთაც ნათარგმნი მასალების სისტემატიზირება და შეჯამებული ინფორმაციის ნაშრომის სახით წარმოდგენა ევალებოდათ. შექმნილი ნაშრომების რედაქტირებას მეტწილად პირადად მეფე ალფონსო აკეთებდა. ის პირადად იყო ჩართული ნაშრომების საბოლოო ვარიანტის ჩამოყალიბებაში.

როგორც ისტორიკოსები აღნიშნავენ, ალფონსოს მფარველობითა და ზედამხედველობით განხორციელებულ მთარგმნელობით და სამეცნიერო საქმიანობაში კარგად ჩანს მონარქის ფიქრი და ზრუნვა მისი ქვეყნისა და ხალხის წარსულზე (ისტორიული ნაშრომები), აწმყოსა (საკანონმდებლო კოდექსი) და მომავალზე (მეცნიერება). მეფე ალფონსო X ბრძენი იყო არაერთი უმნიშვნელოვანესი პროექტის სულისჩამდგმელი. ესპანელი ისტორიკოსების მიერ ალფონსოს სამეფო კარი შეფასებულია როგორც „*uno de los focos de mayor actividad intelectual del mundo civilizado*“. ალფონსო X ბრძენის სახელთან არის დაკავშირებული ისეთი დიდი პროექტები, როგორებიცაა:

ისტორიული ნაშრომები: ა) *Estoria de España* (როგორც მას მენენდეს პიდალი უწოდებს *Primera Crónica General*) არის ესპანეთის პირველი ისტორია დაწერილი ესპანურ ენაზე. ნაშრომი მოიცავს პერიოდს უძველესი დროიდან ფერნანდო III el Santo-ს მმართველობამდე (*atiende a todos los reinos de la península Ibérica*). რასაკვირველია, ესპანეთის ისტორიაზე მანამდეც იწერებოდა ნაშრომები, მაგრამ ზოგი იყო ლათინურად და თან ფრაგმენტულად, ზოგი კი - არაბულად (ისლამურ ესპანეთზე მუსულმანი ისტორიკოსები წერდნენ). ტოლედოს სწავლულებმა კასტილიურად თარგმნეს ლათინური და არაბული ტექსტები, დაამუშავეს ისინი და შექმნეს ერთგვარი

შემაჯამებელი ნაშრომი, რომელიც მთელი მომდევნო საუკუნეები გამოიყენებოდა ესპანური ისტორიოგრაფიის მთავარ ნაშრომად; ბ) **Grande e General Estoria** არის მსოფლიო ისტორია (historia universal desde la creación del mundo). მოიცავს პერიოდს სამყაროს შექმნიდან ახალ აღთქმამდე.

საკანონმდებლო კოდექსი: უმნიშვნელოვანესი ნაშრომია “**Las siete partidas**”. „Las siete partidas“ არის კანონთა კრებული, რომლის შექმნის მიზანიც კასტილია-ლეონის ტერიტორიების საკანონმდებლო ურთიერთშესაბამისობაში მოყვანა და სამეფოს ერთი საკანონმდებლო „ქოლგის“ ქვეშ მოქცევა იყო, რაც ბუნებრივია, სამეფოს ერთიანობის სიმტკიცისათვის იყო საჭირო (unidad jurídica del reino). აღნიშნული კრებულით ხდებოდა მოძველებული კანონების ჩანათვლება ახალი, ახალ რეალობასთან მორგებული კანონებით. კანონთა კრებული აწესრიგებდა საზოგადოების ყველა ფენის ყოფაცხოვრებას. ნაშრომი შვილი ნაწილისგან შედგებოდა და მოიცავდა ყველა საკვანძო საკითხს: კანონიკური/საეკლესიო სამართალი (derecho canónico / derecho de la Iglesia), ადმინისტრაციული და პოლიტიკური სამართალი, სამართლებრივი ურთიერთობები სენიორსა და ვასალს შორის (derecho político y administrativo / relaciones jurídicas entre señores y vasallos), საპროცესო სამართალი და სამოქალაქო სამართალი (derecho procesal y derecho civil), საქორწინო სამართალი (derecho matrimonial / del matrimonio), სავაჭრო სამართალი (derecho mercantil), მემკვიდრეობის სამართალი (derecho testamentario y de herencia), სისხლის სამართალი (derecho penal). ნაშრომს განსაკუთრებით საყურადღებოს ხდის ის ფაქტი, რომ ალფონსოს კანონთა კრებულში საუბარი იყო გამონაკლის შემთხვევებზე (რაც არ იყო დამახასიათებელი შუა საუკუნეებში შემქნილი კანონთა კრებულებისათვის), მაგალითად, ნაკლები სასჯელი დანაშაულის ჩამდენ პირს იმ შემთხვევაში, თუ მას ფსიქიკური აშლილობა აწუხებდა (non lo faze con seso). ამასთან, საუბარი იყო, რომ სხვადასხვა სიმძიმის სასჯელით უნდა დასჯილიყო ერთი და იგივე დანაშაულის ჩამდენი მოზრდილი და არასრულწლოვანი და ა.შ.

საკანონმდებლო კოდექსზე 1256-1265 წლებში დაიწერა და მის შექმნაში მონაწილეობდნენ ეპოქის ყველაზე სწავლული იურისტები. ნაშრომს თავდაპირველად უწოდეს „**Libro de las leyes**“. მართალია, კრებულზე მუშაობა დასრულებული იყო 1265 წლისათვის, მაგრამ ალფონსომ ახალი კანონების ამოქმედება ვერ მოახერხა (რადგან ახალი კანონებით ფეოდალთა უფლებები იზღუდებოდა). კანონთა ახალი კრებული ძალაში შევიდა 1348 წელს (ალკალას განკარგულება, მეფე ალფონსო XII). ამავე პერიოდში შეიცვალა ნაშრომის სახელწოდება და მას უწოდეს “Las siete partidas” (por las secciones en que se encuentra dividida). მეფე ალფონსო ბრძენის ხელმძღვანელობით შექმნილი კანონთა კრებული “Las siete partidas” იყო ყოვლისმომცველი და ყველაზე ხანგრძლივი მოქმედების. ძალაში იყო XIX საუკუნემდე.

ასტრონომიული ნაშრომები: ალფონსოს ყურადღებას ასტრონომიაც იპყრობდა. ალფონსომ ტოლედოში ცნობილი მუსულმანი და ებრაელი ასტრონომებისგან შექმნა ჯგუფი და მათ დაუკვეთა, ებრაელი და მუსულმანი მეცნიერების ძველი და ახალი

თემატური ნაშრომის კასტილიურ ენაზე თარგმნა. ერთ-ერთი ასეთი ნაშრომი იყო XI საუკუნის (1061-1069) ტოლედოში ასტრონომების ჯგუფის მიერ შექმნილი ნაშრომი „*Tablas toledanas*“. აღნიშნული ნაშრომი ალფონსოს დაკვეთით თარგმნეს კასტილიურად, დახვეწეს, განავრცეს და შექმნეს „*Las tablas alfonsinas*“ (ასე მეფის საპატივსაცემოდ ეწოდა). ნაშრომში მთელი რიგი ასტრონომიული გამოთვლები იყო თავმოყრილი. ნაშრომი მალევე მოექცა ყურადღების ცენტრში და ის ლათინურ ენაზე თარგმნეს. ნაშრომი იყო მთავარი საყრდენი აღორძინების ხანის ასტრონომ-მეცნიერებისათვის.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეფე ალფონსო X-მ სამუშაო ენად კასტილიური გამოაცხადა. ტექსტების თარგმნაც და შემდეგ ნაშრომების შექმნაც მხოლოდ კასტილიურ ენაზე ხდებოდა. მაგრამ, იყო კი კასტილიური ენა მზად ამ უდიდესი გამოწვევისათვის? XIII საუკუნის კასტილიური ენა „ახალგებუნებულა“. ამ პერიოდის კასტილიური ლექსიკურად საკმაოდ ღარიბია, ამავდროულად სავსეა ლათინიზმებით და არ აქვს პროზის შექმნის გამოცდილება (სამწერლობო ენა იყო ლათინური). თუმცა, აღნიშნულს ალფონსო X ბრძენი არ შეუშინდა. მეფე ალფონსო X ბრძენის გადაწყვეტილებამ ტექსტების მხოლოდ ესპანურად თარგმნის შესახებ წარმოდგენილად გააძლიერა კასტილიური ენა. ინტენსიურმა მთარგმნელობითმა სამუშაოებმა შედეგად მოგვცა ის, რომ კასტილიური ენა ლათინიზმებისგან გაიწმინდა და შეიქმნა უამრავი სამეცნიერო ტერმინის თუ არასამეცნიერო ლექსიკური ერთეულის კასტილიური ეკვივალენტი. ლექსიკურად ღარიბი კასტილიური ენა გამდიდრდა, დაიხვეწა და იმდენად გამართული გახდა როგორც ლექსიკურად, ისე სინტაქსურად, რომ ამ ენაზე ნებისმიერი სირთულის ნააზრების გადმოცემა გახდა შესაძლებელი. ალფონსომ და მისმა თანამოაზრეებმა კასტილიური ენა სამწერლობო ენად, ლიტერატურისა და მეცნიერების ენად აქციეს. აქციეს ენად, რომელსაც ჰქონდა რესურსი შეექმნა მდიდარი მხატვრული, სამეცნიერო, პოლიტიკური თუ პუბლიცისტური ლიტერატურა. ალფონსო X ისტორიაში შევიდა როგორც „*el padre (o el fundador) de la prosa castellana*“.

ამრიგად, რომ შევაჯამოთ, ტოლედოს მთარგმნელობითი სკოლის ისტორია ორ ეტაპს მოიცავს: ა) პირველი ეტაპი მოიცავს XII საუკუნეს. ამ დროს ძირითადად ანტერესებთ ფილოსოფიური ტექსტები, რომელთაც ლათინურ ენაზე თარგმნიან და გააქვთ ევროპის სხვა ქრისტიანულ სამეფოებში. პირველი ეტაპის საკვანძო ფიგურა და ზოგადად ტოლედოს მთარგმნელობითი სკოლის დამაარსებელი არის ტოლედოს არქიეპისკოპოსი რაიმუნდო; ბ) მეორე ეტაპი მოიცავს XIII საუკუნეს. მეორე ეტაპის მთავარი ფიგურაა ალფონსო X ბრძენი, რომელიც მეცნიერების არაერთი დარგით იყო დაინტერესებული და რომელმაც ლათინური ენა კასტილიური ენით ჩაანაცვლა. ამ გადაწყვეტილებით ალფონსომ უდიდესი წვლილი შეიტანა კასტილიური ენის სამწერლობო ენად ქცევაში. უკვე კასტილიურად ნათარგმნ მასალებზე დაყრდნობით კი სწავლულებთან ერთად შექმნა რამდენიმე უმნიშვნელოვანესი ნაშრომი.

რაც შეეხება ტოლედოს მთარგმნელობითი სკოლის საერთაშორისო მნიშვნელობას, ტოლედო არის ის ქალაქი, სადაც თარგმნეს და საიდანაც ევროპაში გავრცელდა დიდი

ხნის წინ მივიწყებული ბერძნულ-ლათინური მემკვიდრეობა და იმ პერიოდის ევროპისთვის ახალი, აღმოსავლური (ინდური, სპარსული, არაბული, ებრაული) ცოდნა. სწორედ ტოლედოს სკოლამ გაახსენა ევროპას არისტოტელე სხვა ბერძენ მოაზროვნეებთან ერთად და გააცნო მას ისლამური ცივილიზაცია. ტოლედოს მთარგმნელობითმა სკოლამ მისცა ბიძგი შუა საუკუნეების დოგმატური შეხედულებებისგან ევროპის გამოფხიზლებას და მოამზადა ის ევროპული რენესანსისათვის.

და ბოლოს, მთელ ამ პროცესში უმნიშვნელოვანესი იყო კასტილიური ენის როლი, რადგან სწორედ კასტილიური ენა იყო შუამავალი ენა, ერთგვარი ხიდი, რომლის გავლითაც ითარგმნა არაბულიდან ლათინურად როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის უდიდესი ცოდნა.

ლიტერატურა:

მერაბ ტიკაძე, არაბთა ისტორია (V-XV სს.), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008

Alfonso X, Antología (prólogo y selección de Alejandro Bermúdez Vivas), Ediciones ORBIS, S.A. 1983

Alfonso X, Antología (prólogo y selección de Alejandro Bermúdez Vivas), Ediciones ORBIS, S.A. 1983

Rafael Lapesa, Historia de la lengua española, editorial Gredos, Madrid, 198

Marine Kobeshavidze, Nino Tchrikishvili

Ivane Javakhishvili Tbilisi state University

Tbilisi, Georgia

marine.kobeshavidze@tsu.ge

nino.chrikishvili@tsu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2025.34.03>

SJIF 2025: 8.584

The Toledo School of Translation and its Historical and Cultural Significance

Abstract

The capture of Toledo is one of the most important events in Spanish history. By capturing Toledo, the Spanish not only liberated the old capital from the Muslims, but some of the Arabic and Hebrew translations of the most important ancient and oriental texts preserved in the Toledo library also ended up in the hands of Christians.

Thanks to king Alfonso VI, which meant creating conditions for peaceful coexistence for the followers of 3 religions in Toledo, it became possible that Christians, Muslims and Jews should

work together to translate these important works into Latin and bring them to Europe. Toledo turned out to be the city where the long-forgotten Greco-Latin heritage was translated and exported to neighboring Christian Kingdoms and new to Europe at that time, Eastern (Persian, Arabic, Hebrew, Indian) knowledge. It was the School of Toledo that reminded Europe of Aristotle, along with other Greek thinkers and introduced it to Eastern civilization. The Toledo School of Translation gave impetus to Europe's awakening from the dogmatic views of the Middle Ages and prepared it for the European Renaissance.

The later translation of texts into Spanish only, which was an initiative of Alfonso X the Wise, on the one hand, laid the foundation for the creation of important works in Spanish, he maintained and refined the “new developed” Castilian language and turned it into a written language, the language of literature and science.

Key words: Caliphate of Cordoba, reconquista, The Toledo School of Translation, Alfonso X the Wise.

რეცენზენტი: პროფესორი ახმად მამედი